

დანართი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო
წლისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესისა და დამატებითი
ვადების დამტკიცების შესახებ

1. სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატად რეგისტრაციის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან სამ ნაწილში გადალახული აქვს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს-დიპლომს და სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს (კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).
2. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს-დიპლომს.

3. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს რეგისტრაციისათვის საჭირო შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის მითითებით (ივსება ადგილზე);
- ავტობიოგრაფია (CV);
- სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ არ არის

გაცემული;

- პირადობის მოწმობის (პასპორტის) 2 ასლი;
 - ფოტოსურათის (3X4) ელექტრონულივერსია (CD);
 - საერთო სამაგისტრო გამოცდების საგამოცდო ბარათი და მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge);
 - უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასლთან ერთად;
 - მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
4. მაგისტრანტობის კანდიდატი უნივერსიტეტში გადის რეგისტრაციას მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.
5. მაგისტრატობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის დამატებითი ვადები განისაზღვროს 2019 წლის 13 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით.